ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29213425**
თარიღი:**08/12/2021**

(სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. მოწონებული იქნას, (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დაფინანსების მიღების მიზნით, ავტობანიდან ქ. თერჯოლაში შემოსასვლელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები საორიენტაციო ღირებულებით 200 000 ლარი, მერის მიერ მომზადებული წინადადება.

მუხლი 2. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს;

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) განკარგულების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM